# საქართველოს მთავრობის

# დადგენილება №589

# 2017 წლის 28 დეკემბერი

# ქ. თბილისი

## „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

**მუხლი 1**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში (სსმ, III ნაწილი, 2009 წელი, მუხლი 430) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

**1. 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ და ვ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ე) დაცული ტერიტორიებისათვის – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;

ვ) სანაპირო ზოლში ან/და სანაპირო ზონებში – სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი;“.

**2. 51-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„გ) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება – თუ მშენებლობის ნებართვის მოპოვება დაკავშირებულია ისეთი ობიექტის მშენებლობასთან, რომელშიც გათვალისწინებული საქმიანობა, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის შესაბამისად, ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;“.

**3. $99^2$ მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის $99^3$ მუხლი:**

**„მუხლი $99^3$. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის ამოქმედებამდე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოებები**

2018 წლის 1 იანვრამდე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოებებისთვის გავრცელდეს განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედი კანონმდებლობა.“.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან.

**პრემიერ-მინისტრი** **გიორგი კვირიკაშვილი**